

შეთანხმება

საქართველოს მთავრობასა შპს „აად-ს“, შორის 2015 წლის 5 ივნისს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში („მემორანდუმი“) ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი

5 / აპრილი, 2016 წ.

ერთი მხრივ, საქართველოს მთავრობა (შემდგომ „მთავრობა“), წარმოდგენილი საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის, კახა კალაძის მიერ

და

მეორე მხრივ, შპს „აად“, საიდენტიფიკაციო კოდი: 404865829 (შემდგომ „კომპანია“), წარმოდგენილი დირექტორის, დავით ზარიძის (პირადი N 01024031423) მიერ,

მხარეები თანხმდებიან შეიტანონ მემორანდუმში შემდეგი სახის ცვლილებები

1. შეიცვალოს მემორანდუმის 2.3. მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„2.2. პუნქტის შესაბამისად წინადადების წარდგენიდან არაუგვიანეს 9 (ცხრა) თვის ვადაში მხარეები ერთობლივად განიხილავენ კომპანიის მიერ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის საკითხს და იღებენ გადაწყვეტილებას ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ან მშენებლობაზე უარის თქმის შესახებ.“
2. შეიცვალოს მემორანდუმის 2.4. მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„2.3. პუნქტის შესაბამისად, მხარეთა მიერ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, 2.3. პუნქტით დადგენილი ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვისა მხარეთა შორის იდება ხელშეკრულება ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ (შემდგომში „ხელშეკრულება“).“
3. მემორანდუმის სხვა მუხლები და დებულებები რჩება უცვლელი.
4. წინამდებარე შეთანხმება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 5 აპრილიდან.
5. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს და ძალაშია მასთან ერთად. იგი შედგენილია ქართულ ენაზე ორ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად.

6. ამ შეთანხმების ფარგლებში წარმოშობილი ნებისმიერი დავა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ.

მხარეთა ხელმოწერები:

საქართველოს მთავრობა

კახა კალაძე

შპს „აად“

დავით ზარიძე

The image shows two handwritten signatures in black ink. The first signature is for the Government of Georgia, and the second is for the company 'Aad'. Both signatures are written over horizontal lines that separate the printed names from the signatures.



საქართველოს მთავრობის განკარგულება


№1698 2016 წლის 17 აგვისტო ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობასა და შპს „აად-ს“ შორის 2015 წლის 5 ივნისს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობასა და შპს „აად-ს“ შორის 2015 წლის 5 ივნისს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის თაობაზე დასაბუთებული შეთანხმება.

2. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, შეთანხმებას, საქართველოს მთავრობის სახელით, ხელი მოაწეროს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ.

პრემიერ-მინისტრი



გიორგი კვირიკაშვილი

4878



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA



KA010148157102016

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა ტელ.: 2 40 -51-48, 2 40-58-36; ელ. ფოსტა: info@justice.gov.ge
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40-51-48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№5306

09 / აგვისტო / 2016 წ.

საქართველოს ენერჯეტიკის
მინისტრის მოადგილეს,
ბატონ ირაკლი ხმალაძეს

ბატონო ირაკლი,

თქვენ 2016 წლის 29 ივლისის №04/3005 წერილზე დამატებით გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობასა და შპს „აად-ს“ შორის 2015 წლის 5 ივნისს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმის 2.3 მუხლის თანახმად, მხარეთა მიერ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ან მშენებლობაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღება უნდა მომხდარიყო შესაბამისი წინადადების წარდგენიდან 4 თვის ვადაში (მაქსიმუმ 2016 წლის 5 აპრილამდე). ამასთან, მემორანდუმის 5.2 მუხლის "ბ.ბ" პუნქტის თანახმად, თუ დადგენილ ვადაში მხარეთა მიერ არ იქნა მიღებული აღნიშნული გადაწყვეტილება, მემორანდუმის მოქმედება შეწყდება ამ ვადის (2016 წლის 5 აპრილი) ამოწურვისთანავე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეთანხმების პროექტს უნდა დაემატოს მუხლი იმის თაობაზე, რომ თავად ეს შეთანხმება და შესაბამისად, მემორანდუმში შეტანილი ცვლილებები მოქმედებს 2016 წლის 5 აპრილიდან, ამ ვადის გასვლის მიუხედავად.

ამასთან, გთხოვთ, განუხილველად დატოვოთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2016 წლის 05 აგვისტოს #5265 წერილი.

პატივისცემით,

გ. დხოქიფანიძე

მინისტრის მოადგილე

გოჩა ლორთქიფანიძე



ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო
(არაკომერციული) იურიდიული პირების
რეესტრიდან

განაცხადის ნომერი: 171769
განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B10160021
ამონაწერის მომზადების თარიღი: 22/11/2010 17:33:33

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება: შპს აად)
იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის საბურთალოს რაიონში,
ბახტრიონის ქ. კორ. 1 ბ. 50)
საიდენტიფიკაციო კოდი: 404865829)
სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება)
სახელმწიფო რეგისტრაციის
თარიღი: 28/06/2010)
მარეგისტრირებელი ორგანო: საჯარო რეესტრი)
საგადასახადო ინსპექცია: თბილისის რეგ.ცენტრი ვაკე-საბურთალოს გ-ბა)

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები

- 01024031423, დავით ზარიძე,
დირექტორი, ,

პარტნიორები

	წილი	ანგარიშის ნომერი
01024031423, დავით ზარიძე,	25.00000000%	404865829-SH-00001
LK 0671058, , აღდის სტურისკა, ლატვია,	50.00000000%	404865829-SH-00002
LV 3348178, , ტალის სელენგოვსი, ლატვია,	12.50000000%	404865829-SH-00003
LL 0709216, , აღდის დიკმანისი, ლატვია,	12.50000000%	404865829-SH-00004

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება:

რეგისტრირებული არ არის

მომრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

)
)

ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, შესაძლებელია სარეგისტრაციო სამსახურში მოსვლის გარეშე, ელექტრონულად წარმოადგინოთ განცხადება: <http://public.reestri.gov.ge> ან დაგვიკავშირდეთ: 25 15 27; 895 33 71 81; შესწორებული ამონაწერის მიღება შეგიძლიათ ვებ გვერდზე, ელექტრონულად, ასევე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურსა და ლიბერთი ბანკის ნებისმიერ ფილიალში.